საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 13

ქ. თბილისი **25.08.2016**

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
დავით ჩერქეზიშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი;
თეა იმედაძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი;
შალვა მაჭავარიანი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ანზორ შარაშენიძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
ირინა ვაშაკიძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლელა თვარაძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;
კონსტანტინე კაჭარავა - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ციალა ლომაია - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ანა მამაცაშვილი - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ეკა დარჩიაშვილი - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
დოდო ჯულუხაძე - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

მაკა კაჭარავა - შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
არჩილ აბაშიძე;
თამარ ვალიშვილი;
თამარ გაიხარაშვილი;
ეკატერინე ბაკარაძე;
ნინო ქიმერიძე;
მაია გონაშვილი;
ნანა საგინაშვილი;
თინათინ ჭინჭარაული.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:15 საათზე.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათელა სახოკიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, დღის წესრიგს დაემატებოდა ერთი საკითხი, კერძოდ, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა საქართველოში არ ყოფნის გამო, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 და მე-7 საკითხების - შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის საკითხების განხილვა მოხდებოდა აკრედიტაციის საბჭოს შემდგომ სხდომაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა წერილობითი შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხის, შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადება აკრედიტაციის საბჭოს შემდეგი სხდომისთვის.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, არჩილ აბაშიძემ წარუდგინა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებით შეთავაზებულ არჩევით კურსების ლიტერატურაში რეკომენდებულია უფრო თამამად გაკეთდეს აქცენტი ინგლისურენოვან ლიტერატურაზე, რადგან სტუდენტებს მოეთხოვებათ ინგლისურის ცოდნა. გარდა ამისა, პოლიტიკის მეცნიერების და პოლიტიკის ანალიზის სფეროში ლიტერატურის ჩამონათვალს შესაძლებელია დაემატოს იუჯინ ბარდახის ,,პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში", ენდრიუ ჰეივუდის ,,პოლიტიკა";
- სამომავლოდ, ფაკულტეტმა უნდა განიხილოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების რაოდენობის ზრდის საკითხი. ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ,,საჯარო პოლიტიკის ანალიზი'', ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი'' სამაგისტრო პროგრამის ნებისმიერი მიმართულების სტუდენტისათვის შეიძლება აღმოჩნდეს საინტერესო. ამიტომ, აუცილებელია ყურადღება მიექცეს სტუდენტთა სემესტრულ გამოკითხვებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- პროგრამის ერთ-ერთი მოდულის სახელწოდება ,,ეკონომიკის მიმართულება" შეიცვალა და ,,ეკონომიკის და მენეჯმენტის მიმართულებით'', რადგან მასში შემავალი საგნები მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ მენეჯმენტის სფეროსაც;
- პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი ,,ელექტრონული მმართველობა და საქმისწარმოება''. აღნიშნულმა კურსმა პროგრამაში დაიკავა სხვა არჩევითი კურსის - ,,საჯარო სექტორის ადმინისტრირება'' ადგილი, რადგან ეს უკანასკნელი მოიცავდა სხვა სასწავლო კურსებში განხილულ საკითხებს და გვერდს უვლიდა ელექტრონული

მმართველობის საკითხებს, რაც აუცილებელი კომპონენტია საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამისათვის;

- განახლდა ,,აკადემიური წერის'' კურსის სილაბუსი და მას დაემატა კვლევის მეთოდების კომპონენტი, რაც დაეხმარება სტუდენტს კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარების გაღრმავებაში. აღნიშნული ცვლილება აუცილებელი იყო საგანმანათლებლო პროგრამაში, რადგან კვლევის მეთოდები ცალკე საგნად არ ისწავლება.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვიზიტის პროცესში შინაარსობრივი განხილვა მოხდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დაწესებულების წარმომადგენლებსა და აკრედიტაციის ექსპერტებს შორის, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა სასარგებლო რეკომენდაციები, რომელთაც გაზიარებასაც აპირებდა დაწესებულება. ამ ეტაპისათვის მოხდა სასწავლო რესურსის, კერძოდ სახელმძღვანელოების გამრავალფეროვნება.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი, დაინტერესდა მოიცავდა თუ არა დაწესებულების საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა სოციალური პოლიტიკის სასწავლო კურსს და პროგრამის განმახორციელებელი პირები მოწვეული პერსონალი იყო თუ დაწესებულების აკადემიურ თანამდებობებზე იყვნენ არჩეული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სოციალური პოლიტიკის სახელწოდებით სასწავლო კურსი არ იყო პროგრამით გათვალისწინებული, თუმცაღა სხვადასხვა სასწავლო კურსში შესაბამისი თემატიკა გათვალისწინებული იყო. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან მიმართებით აღნიშნა, რომ ნახევარზე მეტი დაწესებულების აკადემიურ პერსონალს წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ფარმაცია
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ვალიშვილმა და ჯგუფის წევრმა, თამარ გაიხარაშვილმა წარადგინეს შენიშვნები და რეკომენდაციები:

ექსპერტის განმარტებით, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის პროგრამულ ნაწილთან მიმართებით დასკვნაში არ დაფიქსირებულა შენიშვნები. დაწესებულების ინფრასტრუქტურასთან და ტექნიკურ აღჭურვილობასთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამისათვის არსებული სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი საჭიროებს განახლებას და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვას. დაწესებულებას ძირითად ფართზე არ გააჩნია ფარმაციის პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის საგნების (წამლის ფორმათა ტექნოლოგია, ფარმაცევტული ქიმია, ანალიზური ქიმია და სხვ.) სწავლებისათვის აუცილებელი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები;
- წამლის ფორმათა სააფთიაქო ტექნოლოგიის სასწავლო კურსის პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია აფთიაქ ,,კრწანისში". ფართის სიმცირის გამო აღნიშნულ ბაზაზე შეუძლებელია 3-4 სტუდენტზე მეტის ერთდროულად განთავსება და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, რაც დადასტურდა ბაზის ვიზუალური დათვალიერებისა და ადგილზე სასწავლო კურსის განმახორციელებელ პედაგოგთან გასაუბრების შედეგად.
- დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული მემორანდუმი წამლის ფორმათა საწარმოო ტექნოლოგიის სასწავლო-პრაქტიკულ ბაზასთან, შესაბამისად გაურკვეველია სად ჩატარდება აღნიშნული კურსის პრაქტიკული მეცადინეობები.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალის რეესტრის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ასოცირებული პროფესორი სერგო ციცხვაია, რომელიც ხელმძღვანელობდა შემდეგ სასწავლო კურსს - პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები, ასწავლიდა ხუთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ერთდროულად იყო სამი დაწესებულების აქტიური (მოქმედი) ასოცირებული პროფესორი.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ მოსაზრებებს და მოხდებოდა მათი პრაქტიკული გათვალისწინება. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით განმარტა, რომ მეცადინეობები ჩატარდებოდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. ასევე, გაფორმებულ იქნა ახალი ხელშეკრულებები სხვა აფთიაქებთანაც და ქიმიურ ლაბორატორიასთან.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა თუ სად იყო ტერიტორიულად განლაგებული დაწესებულება და რა მანძილზე მოუწევდათ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს გადაადგილება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ერთდროულად სწავლების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ფართები განთავსებული იყო ტერიტორიულად საბურთალოზე და რუსთავის გზატკეცილზე. სტუდენტთა კონტიგენტის სიმწირის გამო ამჟამად დაწესებულება ფუნქციონირებდა მხოლოდ საბურთალოს ტერიტორიაზე არსებულ ფართზე, თუმცა სამომავლოდ როდესაც გაიზრდებოდა სტუდენტთა რაოდენობა, მოხდებოდა რუსთავის გზატკეცილზე არსებული ფართის ათვისებაც, რომელიც სათანადოდ იყო აღჭურვილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ცხრილების შედგენა ისე მოხდებოდა, რომ სტუდენტებს არ მოუხდებოდათ ერთ დღეს ორ ადგილას გადაადგილება.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად რეალურად განხორციელებადი ხელშეკრულება იყო დადებული დაწესებულების მიერ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან. აღნიშნული ობიექტი წვდომა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარდა ბევრ სხვა დაწესებულებასაც ქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი წარმოადგენდა დაწესებულების პარტნიორ დაწესებულებას და მათთან რეალური შეთანხმების შემდეგ მოხდა ხელშეკრულების გაფორმება.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა დაწესებულების იმ აკადემიური პერსონალით, რომელიც რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას იყო მიკუთვნებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულმა პირმა დაწერა შესაბამისი განაცხადი და რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე გადაყვანილ იქნა მოწვეულ პერსონალად.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სასწავლო კურსზე განსაზღვრული უნდა იყოს ორი ლექტორი, რაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მდგრადობის გარანტი იქნება.

6-150

სხდომის თავმჯდომარემ, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ საბჭოსთვის არ იყო ნათელი უზრუნველყოფდა თუ არა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, მათი მოსაზრებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო ბაზის მზაობაც საეჭვო იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

3. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: სტომატოლოგია
განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ვალიშვილმა წარუდგინა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია თოთოეულ სემესტრში დამატებითი გამოცდების ჩაბარებისთვის განკუთვნილი ორ-ორი კვირა დაემატოს აკადემიური წლის ხანგრძლივობას, შესაბამისად გასწორდეს ჩანაწერი და ერთი აკადემიური წლის ხანგრძლივობა განისაზღვროს 42 კვირით;
- რეკომენდებულია ჩასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში ქულების გადანაწილებაში დაშვებული უზუსტობა;
- რეკომენდებულია რიგ სილაბუსებში, როგორიცაა სამედიცინო ფარმაკოლოგია 1 და 2, ტოპოგრაფიული ანატომია ოპერაციული ქირურგიის საფუძვლებით გასწორდეს ჩანაწერი შეფასების სისტემის ნაწილში. კერძოდ, ამოღებულ იქნეს პრეზენტაციის უნარ-ჩვევის 10 ქულიანი შეფასება. კურსის განმახორციელებელი პედაგოგების მიერ ინტერვიუზე აღინიშნა, რომ ამ კომპონენტის შეფასება სასწავლო კურსის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და პროგრამაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამისათვის არსებული სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი საჭიროებდა განახლებას, თუმცაღა აღნიშნული რესურსითაც შესაძლებელი იყო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღება სურდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჯამში 50 სტუდენტის მიღება სურდათ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, შემდეგ მოხდებოდა მიმართულებების მიხედვით განაწილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა თუთა ნარმანიამ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკატერინე ბაკარაძემ წარუდგინა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- სასურველია, თუ პროგრამის მიზნებში ხაზგასმით იქნება მინიშნებული, რომ სასწავლო პროგრამის დასასრულს კურსდამთავრებული ასევე იძენს გამოყენებით დარგობრივ კომპეტენციებს, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დაეუფლოს დარგობრივი (სამართლის, ბიზნეს და მედიაკომუნიკაციის) ენის სპეციფიკას;
- სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსის - შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, შინაარსი გაფართოვდეს ლიტერატურის თეორიის საკითხებით, რათა სტუდენტს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას ფილოლოგიის დარგის შესახებ;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, იქ სადაც უცხოელ მოქალაქეთა მიღებას განიხილავს წინამდებარე პუნქტი აღნიშნულია: ,,პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გამოსაცდელმა უნდა დააკმაყოფილოს A2 დონე (გამსვლელი ქულაა მინიმუმ 51) ან წარმოადგინოს ენიც ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი''. სასურველია, უცხოელ სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ასევე მითითებული იყოს უცხოური ენების სწავლისა და სწავლების ევროპული საერთო სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის აღმნიშვნელი არანაკლებ B1 დონე, ვინაიდან ქართველი სტუდენტების ჩარიცხვის წინაპირობაში მითითებული ეროვნული გამოცდების საერთო ენობრივი ტესტირების შედეგი;
- სასურველია, თუ სასწავლო ბიბლიოთეკა გამდიდრდება დარგის უახლესი კვლევებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგებოდა ბევრი პრაქტიკული კომპონენტისგან და კურსდამთავრებულის დასაქმებაზე იყო ორიენტირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია გონაშვილმა წარუდგინა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით:

- სასურველია, პროგრამაში კიდევ უფრო გაძლიერდეს მარკეტინგის სწავლების კომპონენტი, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში მიზანშეწონილია დაემატოს, მაგალითად, სერვის მარკეტინგის დისციპლინა;
- პროგრამაში წარმოდგენილი ყველა დისციპლინა მათ შორის საბაკალავრო ნაშრომიც 5-კრედიტიანია, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ სასურველია დაწესებულებამ თავი არ შეიკავოს კრედიტების დიფერენციაციისაგან და თუნდაც საბაკალავრო ნაშრომი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე წარმოდენილი იყოს 10 კრედიტით;
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ განავითაროს არსებული ელექტრონული შეფასების სისტემა, სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის სასწავლო პროცესს და ხელს შეუწყობს ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესებას;
- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, კერძოდ, სასურველია გააქტიურდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, განხორციელდეს უცხოელი მოწვეული ლექტორების ვიზიტები და ა.შ.;
- სასურველია, სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში მეტად ჩაერთოს თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს, როგორც

ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის მიმართულებით, ასევე დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და განაცხადა, რომ უკვე განხორციელდა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 11:15 საათზე. საბჭოს სხდომა განახლდა 11:25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-1U5

6. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია გონაშვილმა წარუდგინა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით:

- რეკომენდირებულია, სპეციალობის არჩევითი საგნების გაძლიერება სპეციალობის მიმართულების საგნებით. კერძოდ, დაემატოს მენეჯერული ეკონომიკა, ფინანსური ბაზრების ანალიზი, მარკეტინგ მენეჯმენტი, ხოლო ინგლისურის სპეცკურსი შეიცვალოს ბიზნეს კომუნიკაციით ინგლისურ ენაზე;
- ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, მეცნიერული კვლევის მეთოდებში - შეფასების კომპონენტებში მოცემულია კვლევების ნაშრომის სინტაქსი, პუნქტუაცია, მორფოლოგია, რომელთა წილია სასურველია შემცირდეს;
- სასურველია, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაძლიერება ახალ გამოცემული ქართული და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით, რისი საშუალებაც ბიბლიოთეკას გააჩნია;
- მიზაშეწონილია, დაწესებულებამ განავითაროს არსებული ელექტრონული შეფასების სისტემა, სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის სასწავლო პროცესს;
- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და უკვე განხორციელდა პროგრამებში შესაბამისი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ტურიზმი
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას არ ესწრებდნენ აკრედიტაციის ექსპერტები და ვინაიდან დასკვნა იყო დადებითი, თავად წარუდგენდა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით:

- აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი პროგრამის შედეგები ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულებებით, რაც ართულებს პროგრამის შედეგების სისტემურ აღქმას. მუხედავად იმისა, რომ პროგრამა არის მიმართულებათაშორის ნაწილში წარმოდგენილი, რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების კომპლექსურად წარმოდგენა. ამასთან, დიპლომის დანართში კომპლექსურად წარმოდგენილი სწავლის შედეგები გაადვილებს მის აღქმადობას;
- სასურველია, ეროვნულ გამოცდებზე კონკრეტულად ერთი არჩევითი საგანი განისაზღვროს ძირითად საგნებთან ერთად, რათა შესაძლებელი გახდეს ერთგვაროვანი ცოდნისა და კომპეტენციების კონტიგენტის მოძიება;
- სასურველია, შუალედური შეფასების მეთოდი და ქულობრივი განაწილება განისაზღვროს კონკრეტული კურსის ავტორის მიერ, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ პირველ და მესამე რეკომენდაციას. რაც შეეხებოდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე არჩევით საგნად ერთი კონკრეტული საგნის განსაზღვრას, მან განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციასაც გაიზიარებდა დაწესებულება. ყველა არჩევითი საგნის

მიმართულებით ალტერნატივის შეთავაზება აბიტურიენტებისათვის მარკეტინგული გათვლა იყო და ემსახურებოდა პოტენციურ სტუდენტთა დაწესებულებაში მოზიდვას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა საგინაშვილმა წარუდგინა საბჭოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- სასურველია სალექციო კურსების ფარგლებში მომზადებულ რიდერებს ერთვოდეს ბიბლიოგრაფია, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს დაინტერესების შემთხვევაში გაეცნოს შესაბამის კვლევასა თუ სამეცნიერო ლიტერატურას;
- სასურველია, კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალიზაციით შეთავაზებული სალექციო კურსი ,,ქცევის გამოყენებითი ანალიზი" ორი სემესტრის მანძილზე ისწავლებოდეს, საიდანაც პირველი სემესტრი დაეთმობა ფსიქოლოგიის მოცემული მიმართულების ფილოსოფიურ-თეორიულ საფუძვლებს და მეორე სემესტრი - ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრაქტიკულ გამოყენებას;
- სასურველი იქნება სალექციო კურსის ,,თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები'', რომელიც არჩევით საგანს წარმოადგენს და მას წინაპირობად ,,ფსიქოლოგიის ისტორია'' (სავალდებულო საგანი) აქვს, ფარგლებში გამოყენებულ იქნას ,,ფსიქოლოგიის ისტორიისაგან" განსხვავებული ძირითადი ლიტერატურა. რადგან მოცემული სასწავლო კურსი არჩევითს წარმოადგენს, მას უდავოდ გაამდიდრებდა საკითხავი ლიტერატურის სახით სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობებიდან შესაბამისი სამეცნიერო სტატიების, ე.წ. საუკეთესო პრაქტიკების მოკლე ანგარიშების შეთავაზება.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მას ასევე განაცხადა, რომ

6-106

აღნიშნული პროგრამის განხორციელება იგეგმებოდა მომავალი სასწავლო წლიდან და იმ ეტაპისთვის პროგრამას უფრო სრულყოფილი სახე ექნებოდა. 30 სტუდენტის მიღება სურდა დაწესებულებას ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 12:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თუთა ნარმანია